

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 26 “ 12 “ 2014 წელი

ეგზ. № 1

თიანეთის მუნიციპალიტეტის
2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

აშ-50/00

2014 წელი

შინაარსი

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	4
აუდიტის მიზანი	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	6
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	8
სამეურნეო მოვლენების ბუღალტრული აღრიცხვა	8
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	10
სხვა საგადასახადო აქტივები	10
სხვა მატერიალური მარაგები	11
შენობა- ნაგებობები	12
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	14
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	15
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)	16
სუბსიდია	17
სხვადასხვა ხარჯები	17
შემოსავლები	18
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ	18
აუდიტის დასკვნა	19
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	20
სამეურნეო მოვლენების ბუღალტრული აღრიცხვა	20
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	21
სხვა საგადასახადო აქტივები	22
სხვა მატერიალური მარაგები	22
შენობა- ნაგებობები	23
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	25
ოფისის ხარჯი	26
რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	26

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	27
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა).....	27
სუბსიდია	28
სხვადასხვა ხარჯები	29
შემოსავლები	30
არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები	30
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ.....	31
აუდიტის დასკვნა.....	31
თიანეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	32
თიანეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	45
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	59
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	59

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები საჯარო არ გახადოს აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;

- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;

- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.


ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

თიანეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი¹ და არასაკუთარი შემოსულობები. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. თვითმმართველი ერთეული სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.


2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, თიანეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 7 070.0 ათასი ლარი, მათ შორის, შემოსავლები - 7 037.9 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 32.1 ათასი ლარი. თიანეთის მუნიციპალიტეტის შემოსავლების 94%-ს შეადგენს

¹მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს გათანაბრებით, მიზნობრივ და სპეციალურ ტრანსფერს.



დიაგრამა1: 2012 წლის შემოსავლები



დიაგრამა2: 2012 წლის ტრანსფერები

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 6 706.9 ათასი ლარი. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 2666 ათასი ლარი (39,7%), ხოლო ხარჯები - 4 040.9 ათასი ლარი (60,2%).

2012 წელს ბიუჯეტის შესრულების მიხედვით თიანეთის მუნიციპალიტეტის ხარჯები მოცემულია ცხრილში:

ცხრილი1: 2012 წლის ხარჯები

ხარჯები	ათასი ლარი
შრომის ანაზღაურება	852.2
საქონელი და მომსახურება	617.1
სუბსიდიები	579.4
სოციალური	104.8
უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	1 887.4
სულ:	4 040.9

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, თიანეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 3 792.7 ათასი ლარი, რაც 2.2 ათასი ლარით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე. შემოსულობების 88% მოდის გრანტებზე. მუნიციპალიტეტმა საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 2013 წელს მიიღო გათანაბრებითი

ტრანსფერი 1 988.4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 123.8 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 2 059.3 ათასი ლარი.

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 4 132.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- ✓ ხარჯები - 2 810.8 ლარი;
- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდა - 1 321.6 ლარი.

შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის არსებული 339.8 ათასი ლარის სხვაობა დაბალანსებულია ნაშთის ცვლილებით.

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, საქმიანობის ეტაპებზე თანამშრომლებს შორის გადანაწილებული უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა, ვერ უზრუნველყოფს ფინანსური აღრიცხვის არსებითი უზუსტობების გამოვლენას. აღნიშნულ პერიოდში თიანეთის მუნიციპალიტეტი არ ფლობდა ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას ავტორიზაციის სათანადო დონეებით და სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა ხდებოდა ხელით. *ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება მუნიციპალიტეტში დაყოფილია ოთხ ნაწილად. ამდენად, გამგეობის, საკრებულოს, სახანძროსა და სამხედრო სამსახურების მიერ განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა ხდება დამოუკიდებელ ე.წ. „მთავარ წიგნებში“ და შესაბამისად, ორგანიზაციაში აწარმოებენ ოთხ „მთავარ წიგნს“.*

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

სამეურნეო მოვლენების ბუღალტრული აღრიცხვა

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების - „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ - მიხედვით, ორგანიზაციები ბუღალტრულ

აღრიცხვას აწარმოებენ მემორიალურ-ორდერული ან სხვა ფორმით ქალაქში ან ელექტრონული სისტემების მეშვეობით. ყველა მემორიალური ორდერი ტარდება „მთავარ წიგნში“. „მთავარი წიგნი“ იხსნება ყოველი წლის დასაწყისში, გასული წლის წლიური ბალანსის საბოლოო ნაშთების – საწყისი ნაშთების სახით გადმოტანით.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ბუღალტრული ჩანაწერების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ გამგეობის, საკრებულოს, სახანძროსა და სამხედრო სამსახურების „მთავარ წიგნებში“ დაფიქსირებული ანგარიშების ჯამური ნაშთები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებს. სხვაობები ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ბალანსის მუხლებს შორის მოცემულია ცხრილში.

ცხრილი3: „მთავარი წიგნისა“ და ბალანსის მონაცემებს შორის სხვაობები (ათასი ლარი)

ანგარიშის დასახელება	ნომერი	ბალანსის მონაცემები (I)	"მთავარი წიგნი" (II)	სხვაობა (I-II)
სხვა მატერიალური მარაგები	1620	296.2	0.0	296.2
შენობა-ნაგებობები	2110	1 355.6	118.8	1 236.8
მანქანა-დანადგერები და ინვენტარი	2120	1 182.8	79.1	1 103.7
სხვა ძირითადი აქტივები	2130	3 924.5	159.9	3 764.6
არაწარმოებული აქტივები	2400	1 418.1	1 079.3	338.8

გავლენა:

- თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურები არსებითად განსხვავდება კანონით განსაზღვრული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისგან. შესაბამისად, გამგეობის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები არ იძლევა სათანადო ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობისა და მის საკუთრებაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, რის გამოც დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების

ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: თიანეთის მუნიციპალიტეტს 2012 წლის 31 დეკემბერს საბანკო ამონაწერის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება თავისუფალი ნაშთი - 583.5 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფინანსურ აქტივს. მიუხედავად ამისა, ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი ორგანიზაციას ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლში არ აუსახავს.

გავლენა:

- მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთის ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხველობის გამო, კერძოდ, ბალანსში მუხლები - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ და „წმინდა ღირებულება“, 583.5 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 583.5 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების“ შესახებ, (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

სხვა საგადასახადო აქტივები

გარემოება: 2012 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტს შემოსავლების სამსახურში არსებული პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხება ზედმეტად გადახდილი გადასახადები, საერთო თანხით - 9.5 ათასი ლარი. აღნიშნული საგადასახადო აქტივი მუნიციპალიტეტს უნდა აღერიცხა „ფინანსური ანგარიშგების“ შესაბამის მუხლებში, რაც არ განუხორციელებია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში 9.5 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „წინასწარ გადახდილი გადასახადების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები. ასევე აღნიშნული თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების“ შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება №1: აუდიტის ჯგუფისთვის წარდგენილ ოთხ „მთავარ წიგნში“ – „სხვა მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე ნაშთი არ ფიქსირდება, ხოლო ბალანსში აღნიშნულ მუხლში 2012 წლის საბოლოო ნაშთის სახით აღრიცხულია 296.2 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სხვაობა განპირობებულია იმით, რომ ბუღალტერიაში მცირეფასიანი აქტივები ჩამოწერილია ხარჯებში, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია, როგორც აქტივი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების - „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ - მიხედვით, რეკომენდებულია მცირეფასიანი აქტივები ექსპლუატაციაში გადაცემის მომენტში ჩამოიწეროს ხარჯებში და აღირიცხოს ბალანსის საცნობარო მუხლების შესაბამის ანგარიშზე.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, გაზრდილად არის წარმოდგენილი ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგებისა“ და „წმინდა ღირებულების“ ანგარიშები და ასევე საცნობარო მუხლი - „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“.

- ოპარაციის არასწორად ასახვის გამო, შეცდომით არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში წმინა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3).

გარემოება №2: 2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია 59.6 ათასი ლარის მცირეფასიანი აქტივი, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ასახულიყო ხარჯებსა და შესაბამის საცნობარო მუხლში, აღრიცხულია „სხვა მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით არასწორად არის აღრიცხული ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგებისა“ და „წმინდა ღირებულების“ ანგარიშები და ასევე საცნობარო მუხლი - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“.
- ოპარაციის არასწორად ასახვის გამო, შეცდომით არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3).

შენიშვნა- ნაგებობები

გარემოება №1: ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხიდები და კანონით განსაზღვრული სხვა ქონება, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას, გამგეობას უნდა ჰქონდეს შეფასებული და შესაბამისი ღირებულებით აღრიცხული ორგანიზაციის ბალანსზე, რაც თიანეთის მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აქტივების რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯები, რომელთა შეფასება და შესაბამისი ღირებულებით ბალანსზე აყვანა არ მომხდარა, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღირიცხებოდა, როგორც არაფინანსური

აქტივების ზრდა. გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციული ბალანსის „შენობა-ნაგებობების“ მუხლში ასახული არ არის დაახლოებით 303.5 ათასი ლარის გზების, 10.5 ათასი ლარის ხიდების და 382.6 ათასი ლარის საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 696.6 ათასი ლარით არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობებისა“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები.
- ოპერაციების არასრულად ასახვის გამო, შესაბამისი თანხებით შემცირებულად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №3 და ფორმა №5).

გარემოება №2: თიანეთის მუნიციპალიტეტს 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული არ აქვს ყოფილი ჯანდაცვის ცენტრის შენობა, რომელიც მას გადმოეცა 2012 წელს და ჩაუტარდა 300.0 ათასი ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტს შენობის გადმოცემის მომენტში უნდა შეეფასებინა მისი ღირებულება და შესაბამისი თანხით აესახა ბალანსზე, რომელსაც შემდგომ უნდა დამატებოდა კაპიტალური რემონტის ხარჯი, მაგრამ არც ერთი ეს მოქმედება არ განხორციელებულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შენობის საწყის ღირებულებას დამატებული 300.0 ათასი ლარის კაპიტალური რემონტის თანხა, არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობებისა“ და

„წმინდა ღირებულების“ მუხლებში გამოცემული შენობის საწყისი ღირებულებით.

- ოპერაციების არასათანადოდ ასახვის გამო, შესაბამისი თანხებით შემცირებულად არის წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №3 და ფორმა №5).
- იმის გათვალისწინებით, რომ აქტივებს უნდა დაერიცხოს ცვეთა, არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება - გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა № 2 და ფორმა № 5) ასევე არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა № 3).

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება №1: თიანეთის მუნიციპალიტეტს 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლით აღრიცხული 415.7 ათასი ლარის ღირებულების ტრაქტორები დამატებითი მოწყობილობებით, რეალურად წარმოადგენდა ერთობლივი საქმიანობის - ამხანაგობა „თიანეთი 2008“-ის საკუთრებას. აღნიშნული დასტურდება 2012 წლის ინვენტარიზაციის აქტიდან და ამხანაგობასთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 415.7 ათასი ლარით გაზრდილია ბალანსის „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი და „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

- აქტივად შეცდომით აღიარების გამო, არასწორად არის წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება №2: თიანეთის მუნიციპალიტეტის ბალანსის „არაფინანსური აქტივების“ მუხლში ირიცხება 20.2 ათასი ლარის ღირებულების მწყობრიდან გამოსული ინვენტარი, რომელსაც გამგეობა არ იყენებს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. აღნიშნული დასტურდება მუნიციპალიტეტის 2012 წლის ინვენტარიზაციის აქტით, რომლის მიხედვითაც აქტივები განისაზღვრა, როგორც უვარგისი, თუმცა მათი ბალანსიდან ჩამოწერა არ მომხდარა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის არაფინანსური აქტივები, კერძოდ, „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება: ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“, მუხლში - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“, არ არის ასახული თიანეთის მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავებაზე გაწეული ხარჯები, საერთო თანხით - 95.0 ათასი ლარი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლი
- ხარჯების არასათანადო აღრიცხვის შედეგად, შეცდომით არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3).

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

გარემოება: „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად, აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი აქტივი აღირიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დამდგარიყო მათი მიღების შემდეგ. თიანეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ორგანიზაციის ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე არ ხდება ცვეთის დარიცხვა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება ცალკე ჟურნალში, რომლიდანაც მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში აღარ გადმოიტანება.

გავლენა:

- აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსებში აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე, აგრეთვე ბალანსის დანართ ფორმებზე: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (შესაბამისად, ბალანსის დანართები - ფორმა №2, ფორმა №3, ფორმა №5). ასევე დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

სუბსიდია

გარემოება: 2012 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტს ექვს ა(ა)იპ-სა და ერთ შპს-ზე მიმდინარე საქმიანობის დაფინანსების მიზნით გაცემული აქვს 579.4 ათასი ლარი, რომელიც არ არის აღრიცხული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებში. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, აღნიშნული ხარჯი არის სუბსიდია, რომელიც უნდა აღირიცხოს ორგანიზაციის ხარჯების ანგარიშში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ორგანიზაცია ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხავს იმ თანხებს, რომლებიც ა(ა)იპ-ებს გადაეცემათ მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

გავლენა:

- იმის გათვალისწინებით, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიის სახით გაწეული 579.4 ათასი ლარის ხარჯი, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ხარჯების ანგარიში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმები №2 და №3). შესაბამისად, ორგანიზაციის ბალანსში არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

სხვადასხვა ხარჯები

გარემოება: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლით ასახული არ არის იმ სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი, რომელიც მუნიციპალიტეტმა გასწია არასაკუთარი ქონების რემონტზე, საერთო თანხით 1 887.3 ათასი ლარი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი ბალანსის „წმინდა ღირებულები“ს მუხლი.
- ხარჯების არასრულად აღრიცხვის შედეგად, 1 887.3 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და №3).

შემოსავლები

გარემოება: ორგანიზაციის ანგარიშში „წმინდა ღირებულების“ შესახებ სრულად არ არის ასახული მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული შემოსავლები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტს შემოსავლების ნაწილში ასახული აქვს მხოლოდ ის შემოსავლები, რომლებიც საჭირო იყო აღრიცხული ხარჯების დასაბალანსებლად. მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 7 070.0 ათასი ლარი, ხოლო „წმინდა ღირებულების ანგარიშში“ ასახულია 1 748.2 ათასი ლარი, ანუ 5 321.8 ათასი ლარით ნაკლები.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლი.
- შემოსავლების არასრულად აღრიცხვის შედეგად, შეცდომით არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3).

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ

გარემოება: თიანეთის მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართი ფორმა №6 - „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“,

არასრულყოფილადაა შევსებული. კერძოდ, ფორმაში გამიჯნული არაა სხვადასხვა ტიპის ავტომატურად გაწეული ხარჯი, ასევე მონაცემები არასრულყოფილადაა ასახული მუხლში - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა“.

გავლენა:

გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასათანადოდაა წარმოდგენილი „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №6).

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, თიანეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

სამეურნეო მოვლენების ბუღალტრული აღრიცხვა

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების - „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მიხედვით, ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ მემორიალურ-ორდერული ან სხვა ფორმით ქაღალდზე ან ელექტრონული სისტემების მეშვეობით. ყველა მემორიალური ორდერი ტარდება „მთავარ წიგნში“. „მთავარი წიგნი“ იხსნება ყოველი წლის დასაწყისში, გასული წლის წლიური ბალანსის საბოლოო ნაშთების – საწყისი ნაშთების სახით გადმოტანით.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ბუღალტრული ჩანაწერების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ გამგეობის, საკრებულოს, სახანძროსა და სამხედრო სამსახურების „მთავარ წიგნებში“ დაფიქსირებული ანგარიშების ჯამური ნაშთები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებს. სხვაობები ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ბალანსის მუხლებს შორის მოცემულია ცხრილში

ცხრილი 4: „მთავარი წიგნისა“ და ბალანსის მონაცემებს შორის სხვაობები (ათასი ლარი)

ანგარიშის დასახელება	ნომერი	ბალანსის მონაცემები (I)	"მთავარი წიგნი" (II)	სხვაობა (I-II)
სხვა მატერიალური მარაგები	1620	333.0	1.1	331.9
შენობა-ნაგებობები	2110	1 802.3	446.7	1 355.6
მანქანა-დანადგერები და ინვენტარი	2120	1 028.4	332.9	695.5
სხვა ძირითადი აქტივები	2130	3 924.7	0.0	3 924.7
არაწარმოებული აქტივები	2400	1 883.5	468.8	1 414.7
აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	0	6.9	-6.9

გავლენა:

- თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურები არსებითად განსხვავდება კანონით განსაზღვრული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისგან. შესაბამისად, გამგეობის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები არ იძლევა სათანადო ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობისა და მის საკუთრებაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, რის გამოც დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: თიანეთის მუნიციპალიტეტს 2013 წლის 31 დეკემბერს საბანკო ამონაწერის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება თავისუფალი ნაშთი - 243.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფინანსურ აქტივს. მიუხედავად ამისა, ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი ორგანიზაციას ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლში არ აუსახავს.

გავლენა:

- მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთის ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხველობის გამო, კერძოდ, ბალანსში მუხლები - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ და „წმინდა ღირებულება“, 243.6 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 243.6 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების“ შესახებ, (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

სხვა საგადასახადო აქტივები

გარემოება: 2013 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტს შემოსავლების სამსახურში არსებული პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხება ზედმეტად გადახდილი გადასახადები საერთო თანხით - 2.0 ათასი ლარი. აღნიშნული საგადასახადო აქტივი მუნიციპალიტეტს უნდა აღერიცხა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებში, რაც არ განხორციელებულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში 2.0 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „წინასწარ გადახდილი გადასახადებისა“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები. ასევე აღნიშნული თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება №1: თიანეთის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციულ ბალანსში „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლის საბოლოო ნაშთი შეადგენს 333.0 ათასი ლარს. აღნიშნულ მუხლში ასახულია ხანგრძლივი გამოყენების მცირეფასიანი აქტივები. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების - „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ - მიხედვით, ისეთი მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვა, რომელთაც ხანგრძლივი გამოყენების პერიოდი გააჩნია, რეკომენდებულია ექსპლუატაციაში გადაცემის მომენტში აღიარებულ იქნეს ხარჯად და აღირიცხოს საცნობარო მუხლების შესაბამის ანგარიშზე.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, გაზრდილად არის წარმოდგენილი ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგებისა“ და „წმინდა ღირებულების“ ანგარიშები და ასევე საცნობარო მუხლი - „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“.
- ოპერაციის არასწორად ასახვის გამო, შეცდომით არის წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3)

გარემოება №2: 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია 35.8 ათასი ლარის მცირეფასიანი აქტივი, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ასახულიყო ხარჯებში და შესაბამის საცნობარო მუხლში, აღრიცხულია „სხვა მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით არასწორად არის აღრიცხული ბალანსის „სხვა მატერიალური მარაგებისა“ და „წმინდა ღირებულების“ ანგარიშები და ასევე საცნობარო მუხლი - „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“.
- ოპერაციის არასწორად ასახვის გამო, შეცდომით არის წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3).

შენიშვნა- ნაგებობები

გარემოება №1: ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხიდები და კანონით განსაზღვრული სხვა ქონება, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას, გამგეობას უნდა ჰქონდეს შეფასებული და ორგანიზაციის ბალანსზე შესაბამისი

ღირებულებით აღრიცხული, რაც თიანეთის მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აქტივების რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯები, რომელთა შეფასება და შესაბამისი ღირებულებით ბალანსზე აყვანა არ მომხდარა, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღირიცხებოდა, როგორც არაფინანსური აქტივების ზრდა. გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობების“ მუხლში ასახული არ არის 339.8 ათასი ლარის - გზების, 279.6 ათასი ლარის - ხიდების და 195.1 ათასი ლარის - საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 814.5 ათასი ლარით არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლები - „შენობა-ნაგებობები“ და „წმინდა ღირებულება“.
- ოპერაციების არასრულად ასახვის გამო, შესაბამისი თანხებით შემცირებულად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №3 და ფორმა №5).

გარემოება №2: თიანეთის მუნიციპალიტეტს 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2012 წელს გადმოცემული ყოფილი ჯანდაცვის ცენტრის შენობა აღრიცხული აქვს მხოლოდ მისი კაპიტალური რემონტის ღირებულებით. მუნიციპალიტეტს შენობის გადმოცემის მომენტში უნდა შეეფასებინა მისი ღირებულება და შესაბამისი თანხით ბალანსზე აესახა, რომელსაც შემდგომ უნდა დამატებოდა კაპიტალური რემონტის ხარჯი, მაგრამ

მუნიციპალიტეტმა „შენობა-ნაგებობების მუხლით“ აღრიცხა მხოლოდ ჯანდაცვის ცენტრის კაპიტალური რემონტის ხარჯი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შენობის საწყისი ღირებულებით არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობებისა“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები, გადმოცემული შენობის საწყისი ღირებულებით.
- ოპერაციების არასათანადოდ ასახვის გამო, შესაბამისი თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3 და ფორმა №5).

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება: თიანეთის მუნიციპალიტეტის ბალანსის „არაფინანსური აქტივების“ მუხლში ირიცხება 18.2 ათასი ლარის ღირებულების მწყობრიდან გამოსული ინვენტარი, რომელსაც გამგეობა არ იყენებს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. აღნიშნული დასტურდება მუნიციპალიტეტის 2013 წლის ინვენტარიზაციის აქტით, რომლის მიხედვითაც აქტივები განისაზღვრა, როგორც უვარგისი, თუმცა მათი ბალანსიდან ჩამოწერა არ მომხდარა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის არაფინანსური აქტივები, კერძოდ, „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი.

ოფისის ხარჯი

გარემოება №1: ორგანიზაციის „ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“, ოფისის ხარჯის მუხლში არ არის ნაჩვენები 15.0 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯის მონაცემი. აღნიშნული თანხა მოიცავს სხვა მატერიალურ მარაგებში აღრიცხულ მცირეფასიან აქტივებს. იქიდან გამომდინარე, რომ მცირეფასიანი აქტივები არ წარმოადგენს არაფინანსურ აქტივს და მათი აღრიცხვა უნდა მოხდეს ხარჯების სახით, ოფისის ხარჯის მუხლიდან 15.0 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯის გამოკლება არასწორია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად არასწორად არის წარმოდგენილი ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლი.
- ხარჯების არასათანადო აღრიცხვის შედეგად, შეცდომით არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3).

რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის**ხარჯები**

გარემოება №1: ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ, „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის შეძენის“ ხარჯების მუხლში არ არის ნაჩვენები 2.0 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯის მონაცემი. აღნიშნული თანხა მოიცავს სხვა მატერიალურ მარაგებში აღრიცხულ მცირეფასიან აქტივებს. იქიდან გამომდინარე, რომ მცირეფასიანი აქტივები არ წარმოადგენს არაფინანსურ აქტივს და მათი აღრიცხვა უნდა მოხდეს ხარჯების სახით, აღნიშნული მუხლიდან 2.0 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯის გამოკლება არასწორია.

გავლენა:

- გამოვლენილის გარემოების შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლი.
- ხარჯების არასათანადო აღრიცხვის შედეგად, შეცდომით არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3).

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება: ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში არ არის ასახული თიანეთის მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავებაზე გაწეული ხარჯები, საერთო თანხით - 87.1 ათასი ლარი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლი.
- ხარჯების არასათანადო აღრიცხვის შედეგად, შეცდომით არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3).

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

გარემოება: „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად, აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი აქტივი აღირიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ

ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დამდგარიყო მათი მიღების შემდეგ. თიანეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ორგანიზაციის ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე არ ხდება ცვეთის დარიცხვა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება ცალკე ჟურნალში, საიდანაც მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში აღარ გადმოიტანება.

გავლენა:

- აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსებში აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე, აგრეთვე ბალანსის დანართ ფორმებზე: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ფორმა №2, ფორმა №3, და ფორმა №5). ასევე დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

სუბსიდია

გარემოება: 2012 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტს ექვს ა(ა)იპ-ზე და ერთ შპს-ზე მიმდინარე საქმიანობის დაფინანსების მიზნით გაცემული აქვს 842.5ათასი ლარი, რომელიც არ არის აღრიცხული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებში. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, აღნიშნული ხარჯი არის სუბსიდია, რომელიც უნდა აღირიცხოს ორგანიზაციის ხარჯების ანგარიშში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული

განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ორგანიზაცია ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხავს იმ თანხებს, რომლებიც ა(ა)იპ-ებს გადაეცემათ მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

გავლენა:

- იმის გათვალისწინებით, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიის სახით გაწეული 842.5 ათასი ლარის ხარჯი, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3). შესაბამისად, ორგანიზაციის ბალანსში არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

სხვადასხვა ხარჯები

გარემოება: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №2-ში სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების მუხლით ასახული არ არის იმ სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი, რომელიც მუნიციპალიტეტმა გასწია არასაკუთარი ქონების რემონტზე, საერთო თანხით - 65.4 ათასი ლარი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლი.
- ხარჯების არასრულად აღრიცხვის შედეგად, 65.4 ათასი ლარით შემცირებულად წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3).

შემოსავლები

გარემოება: ორგანიზაციის „ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“, სრულად არ არის ასახული მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული შემოსავლები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტს შემოსავლების ნაწილში ასახული აქვს მხოლოდ ის შემოსავლები, რომლებიც საჭირო იყო აღრიცხული ხარჯების დასაბალანსებლად. მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 3 792.7 ათასი ლარი, ხოლო წმინდა ღირებულების ანგარიშში ასახულია 2 426.5 ათასი ლარი, ანუ 1 366.2 ათასი ლარით ნაკლები.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლი.
- შემოსავლების არასრულად აღრიცხვის შედეგად, შეცდომით არის წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3).

არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები

გარემოება: ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ „შენობა - ნაგებობების მუხლის“ ზრდაში ასახულია 300.0 ათასი ლარის ღირებულების ყოფილი ჯანდაცვის შენობის რემონტის ღირებულება. აღნიშნული შენობა გარემონტდა და ჩაბარდა 2012 წელს, შესაბამისად, მისი ასახვა უნდა მომხდარიყო იმ წელს, როდესაც დასრულდა შენობის სარემონტო სამუშაოები.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის „ანგარიშში არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ“, 300.0 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი შესყიდული შენობა-ნაგებობების მუხლი.

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ

გარემოება: თიანეთის მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართი ფორმა №6 - „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“, არასრულყოფილადაა შევსებული. კერძოდ, ფორმაში გამიჯნული არაა სხვადასხვა ტიპის ავტომატურად გაწეული ხარჯი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასათანადოაა წარმოდგენილი „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №6).

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, თიანეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება

